საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ერი“

„ერი“**,** ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1909 წ. 13 სექტემბრიდან 1910 წ. 22 ნოემბრამდე**;** რედ.-გამომცემელი – პ. სურგულაძე (1909 გამოვიდა ჟურნალის 1–2 ნომერი, ხოლო 1910 – 1–26). ბოლო ნომრის რედაქტორი იყო ს. მგალობლიშვილი. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ: კ. აბაშიძე, ა. ფრონელი (ყიფშიძე), ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ფ. გოგიჩაიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. შანშიაშვილი და სხვ. 1909 სექტემბრის ბოლოს (II ნომრის გამოსვლის შემდეგ) ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით ჟურნალი დროებით დაიხურა. განახლდა 1910 თებერვლიდან. შუალედში „**ე**-ის**“** ნაცვლად გამოდიოდა „ჩვენი ერი“ (1909 წ. 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე), „ქართველი ერი“ (1909 წ. 11 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე), „საქართველოს მოამბე“ (1909 წ. 1 ნოემბრიდან 1910 წლის 24 იანვრამდე), „მოამბე“ (1910 წ.). ი. ლორთქიფანიძე.